საქართველოს მთავრობის

დადგენილება №192

2020 წლის 26 მარტი

ქ. თბილისი

„საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მარტის №181 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მარტის №181 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 23/03/2020, 120160030.10.003.021892) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოში ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების“ მე-10 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 10. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სერვისები და ადმინისტრაციული წარმოების ცალკეული საკითხები

1. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს მიენიჭოს უფლებამოსილება, ბრძანებით დააწესოს საქართველოს კანონმდებლობისგან განსხვავებული წესები საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში ზოგიერთი მომსახურების უზრუნველყოფასა და მომსახურების ცალკეულ საფასურებთან დაკავშირებით.

2. საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების მომენტიდან საგანგებო მდგომარეობის ვადით ჩერდება საგზაო უსაფრთხოების სფეროში საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის X თავით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისათვის დაკისრებული საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ჯარიმის ან/და საურავის გადახდის ვადები. აღნიშნული ვრცელდება იმ სამართალდარღვევებზე, რომელიც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემდებარეა.

3. საგანგებო მდგომარეობის ვადით საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს მიეცეს უფლება, დაადგინოს განსხვავებული წესები უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ - მინისტრი **გიორგი გახარია**